585
1991/2

ISSN 0203—2023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1991

№ 11

საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს
უწყებები

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გამოცემა

თ ბ ი ლ ი ს ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის
უზენაესი საბჭოს
უწყებები

№ 11 (616) ნოემბერი 1991 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

780. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება რ. ლ. გვენცაძის ქ. თბილისის სამხედრო კომენდანტად დანიშვნის შესახებ.

781. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ჯ. ა. ქუთათელაძის ქ. თბილისის სამხედრო კომენდანტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

782. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წარმომადგენელთა დანიშვნის შესახებ.

783. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ნ. შ. ჩაჩავას თიანეთის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

784. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება შ. ს. მიდელაურის თიანეთის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ.

785. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკაში დისლოცირებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკისა და სხვა ქონების შესახებ.

786. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის დეპარტამენტის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტად გარდაქმნის შესახებ.

787. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის გამგეობის შემადგენლობის განსაზღვრისა და მის წევრთა დანიშვნის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

788. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ფინეთის პარლამენტთან ურთიერთობის დეპუტატთა ჯგუფის შესახებ.

789. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ე. ე. ნიკაურაძის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ.

790. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ა. გ. რეხვიაშვილის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

791. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ლ. ბ. გირგვლიანის დმანისის რაიონის პრეფექტის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

792. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ა. ი. ტატუაშვილის დმანისის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ.

793. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა არმიის კუთვნილი იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკის, სამხედრო ბაზებისა და სხვა სამხედრო ქონების შესახებ.

794. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული ბანკების შექმნის (გარდაქმნის) შესახებ.

795. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ვ. ა. სანანაძის გაზეთ „შიდა ქართლის“ რედაქტორად დანიშვნის შესახებ.

796. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ო. ს. ართველიძის გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

797. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება დმანისის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლის ა. ი. ტატუაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

798. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ო. ა. ასლანიშვილის დმანისის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ.

799. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის წესდების დამტკიცების შესახებ.

800. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ.

801. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ.

802. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის შესახებ.

803. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება თ. ვ. ნინუას საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

804. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრ კავშირის სასაზღვრო ჯარების და სამხედრო-საზღვაო ფლოტის კუთვნილი იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკის, სამხედრო ბაზების და სხვა სამხედრო ქონების შესახებ.

805. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება გ. პ. თავზარაშვილის ხარაგაულის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ.

806. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ხარაგაულის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლის თ. ე. ყურავას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

807. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ვ. ა. რაზმაძის საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

808. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ვ. ბ. აბაკელიას საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად დანიშვნის შესახებ.

809. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ.

810. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში პროფესიული კავშირების უფლებების უზრუნველყოფის შესახებ.

811. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ზ. ბ. კოპალიანის საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

812. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ე. ე. ნიკურაძის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

813. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების თაობაზე.

814. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება ი. ო. ანდრიაძის ქ. თბილისის მერის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

815. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ.

816. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის რეორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებები

(25 ნოემბერი)

817. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გაუქმების შესახებ.

818. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარების იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკისა და სხვა ქონების შესახებ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

819. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა არმიის, სასაზღვრო ჯარების, სამხედრო-საზღვაო ფლოტის კუთვნილი იარაღის, საბრძოლო მასალის, მომოსავლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკის, სამხედრო პაზებისა და სხვა ქონების შესახებ.

820. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ვ. ა. რაზმაძის საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

821. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ვ. ბ. აბაკელიას საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად დანიშვნის შესახებ.

822. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ვ. ბ. აბაკელიას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

823. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ო. ს. ბებიას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩევის შესახებ.

824. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ვ. ვ. ნიკარაძის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

825. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ.

826. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ა. გ. რეხვიაშვილის საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

827. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის შესახებ.

828. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ზ. პ. კოპალიანის საქართველოს რესპუბლიკის ვიცეპრემიერად მინისტრად დანიშვნის შესახებ.

829. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ა. რ. კვეზერელის სადეპუტატო უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

830. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება სტიქიასთან დაკავშირებით და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი ობიექტების შშენებლობისა და სხვა ხარჯების დასაფინანსებლად 1991 წლის სპბიუჯეტო ასიგნებათა გადიდების შესახებ

განყოფილება მესამე

831. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის განცხადება.

832. ყარაბაღი ხალხის სოციალდემოკრატიულ-პოლიტიკურ ორგანიზაცია „ჯამაგათს".

833. გაეროს გენერალურ მდივანს ბატონ ხავიერ პერეს დე კუელიარს, მსოფლიოს ხალხებსა და პარლამენტებს.

834. რუსეთის პრეზიდენტს.

835. ბალყარელი ხალხის საერთო-სახალხო ყრილობას.

საქართველოს **რესპუბლიკის** უზენაესი **საბჭოს სხდომები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკოფილება პირველი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

780 რ. ლ. გვენცაძის ქ. თბილისის სამხედრო კომენდანტად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, პოლკოვნიკი რომან ლევანის ძე **გვენცაძე** ქ. თბილისის სამხედრო კომენდანტად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 2 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

781 ჯ. ა. ქუთათელაძის ქ. თბილისის სამხედრო კომენდანტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს პოლკოვნიკი ჯემალ ალექსანდრეს ძე **ქუთათელაძე** ქ. თბილისის სამხედრო კომენდანტის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 2 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

782 საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წარმომადგენელთა დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 18 აგვისტოს კანონის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაინიშნოს ა. ქობალია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ საორგანიზაციო საკითხებში.

2. დაინიშნონ თ. შარიქაძე და ო. აღლაძე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებად.

3. გათავისუფლდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობისაგან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დანიშნული პირები თ. გიორგაძე, მ. ქურდაძე და პ. მარგველაშვილი.

4. ეს დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჯულაძე.

თბილისი, 1991 წლის 5 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

გ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

783 ნ. შ. ჩაჩავას თიანეთის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ნუგზარ შალვას ძე **ჩაჩავა** თიანეთის რაიონის პრეფექტის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 6 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

გ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

784 შ. ს. მიდელაურის თიანეთის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს შოთა სიმონის ძე **მიდელაური** თიანეთის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 6 ნოემბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

785 საქართველოს რესპუბლიკაში დისლოცირებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკისა და სხვა ქონების შესახებ

რესპუბლიკაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით **ვადგენ:**

1. გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების იარაღი, საბრძოლო მასალა, მიმოსვლის საშუალებები, სამხედრო ტექნიკა და სხვა ქონება.

2. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყოს ლიკვიდაციაში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ამ ბრძანებულების პირველ პუნქტში აღნიშნული ქონების საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოსაცემად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 7 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

786 საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის დეპარტამენტის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტად გარდაქმნის შესახებ

გარდაიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის დეპარტამენტი სახელმწიფო კონტროლის კომიტეტად და უშუალოდ დაექვემდებაროს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს.

„საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 26 აგვისტოს კანონში შესაბამისი ცვლილების შეტანის თაობაზე კანონის პროექტი დასამტკიცებლად მორიგ სხდომაზე წარედგინოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 7 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

787 საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის გამგეობის შემადგენლობის განსაზღვრისა და მის წევრთა დანიშვნის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 2 აგვისტოს კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წინადადება და განისაზღვროს ეროვნული ბანკის გამგეობის შემადგენლობა ცხრა წევრით.

2. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წინადადება და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის გამგეობის წევრებად დაინიშნონ: გია დანიელის ძე თოფურია, ნუკრი უშანგის ძე ვახტანგიშვილი, გურამ ვლადიმერის ძე ხასია, ჯემალ გიორგის ძე ბერიკაული, მარგალიტა ლეონტის ასული ნიჟარაძე, იოსებ პეტრეს ძე ზამთარაია, ივანე გივის ძე ჯონიაშვილი.

3. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გამგეობის შემადგენლობაში ეკანონიის შესაბამისად ორი კვირის ვადაში წარმოადგინოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დასანიშნი ორი წევრის კანდიდატურა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 8 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

788 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ფინეთის პარლამენტთან ურთიერთობის დეპუტატთა ჯგუფის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ფინეთის პარლამენტთან ურთიერთობის დეპუტატთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ნ. ბურჭულაძე — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. თაქთაქიშვილი, მ. თუშმალიშვილი — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეები.

მ. თომაძე, ა. კალაძე, მ. მაჭავარიანი — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 8 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

გ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

789 ე. ე. ნიჟარაძის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დანიშნოს ენვერ ეფრემის ძე **ნიჟარაძე** საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 9 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

გ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

790 ა. გ. რეხვიაშვილის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

დანიშნოს აკაკი გრიგოლის ძე **რეხვიაშვილი** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 9 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

791 ლ. ბ. ვირგვლიანის დმანისის რაიონის პრეფექტის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ლერი ბესარიონის ძე ვირგვლიანი დმანისის რაიონის პრეფექტის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 11 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

792 ა. ი. ტატუაშვილის დმანისის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დანიშნოს ალექსი იოსების ძე ტატუაშვილი დმანისის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 11 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

793 საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული საგზოთა არმიის კუთვნილი იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკის, სამხედრო გაზებისა და სხვა სამხედრო ქონების შესახებ

გათვალისწინებით იმისა, რომ საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების დაცვა, მისი ტერიტორიის მთლიანობის შენარჩუნება, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, ნებისმიერი აგრესიის მოგერიების

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველყოფა და სამოქალაქო მშვიდობის დამყარება მოითხოვს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შექმნას და რომ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შექმნა-ფორმირება მნიშვნელოვანწილად მოხდა საქართველოს რესპუბლიკის მშრომელთა ხარჯზე, **ვადგენ:**

1. 1. გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული საჰფოთა არმიის კუთვნილი იარაღი, საბრძოლო მასალა, მიმოსვლის საშუალებები, სამხედრო ტექნიკა, სამხედრო ბაზები და სხვა სამხედრო ქონება.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაიწყოს მოლაპარაკება სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის შესაბამის ორგანოებთან ამ დადგენილების პირველ პუნქტში აღნიშნული ქონების საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოსაცემად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 11 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

794 საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული ბანკების შექმნის (გარდაქმნის) შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკაში ფულადსაკრედიტო რეგულირების შესახებ“ „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ და „საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და სადაზღვო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონების სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილების მე-3 და მე-7 პუნქტებისა და „საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და სადაზღვო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საფინანსო-სამეურნეო მუდმივი კომისიის, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის წინადადება და რესპუბლიკური პროგრამების დასაფინანსებლად სსრკ შემნახველი ბანკის, სსრკ აგრომრეწვბანკის, სსრკ მრეწველობინბანკის, სსრკ ბინოსტბანკის საქართველოს ყოფილი რესპუბლიკური ბანკების ბაზაზე შეიქმნას სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული ბანკები.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა სამი კვირის ვადაში უზრუნველყონ სპეციალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზებული სახელმწიფო კომერციული ბანკების დაფუძნება ახალი სტატუსით, მათი წესდებების დამტკიცება და შემდგომი რეგისტრაცია.

საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებულ სახელმწიფო კომერციულ ბანკებს მიენიჭოს მთავრობის ბანკების ფუნქციები დაფუძნებისა და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით რესპუბლიკური პროგრამების დაფინანსების ნაწილში, ხოლო დანარჩენ სფეროებში მათი, როგორც საქართველოს რესპუბლიკის საბანკო სისტემის სუბიექტების, საქმიანობა განისაზღვროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. მიღებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის წინადადება და საქართველოს რესპუბლიკის სპეციალიზებული სახელმწიფო კომერციული ბანკების ახალი სტატუსით სწრაფი ამოქმედების მიზნით მათი ხელმძღვანელობა (თავმჯდომარე და მოადგილეები) დანიშნოს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მიერ ეროვნული ბანკის გამგეობის წარდგინებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 12 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

795 **ვ. ა. საბანაძის გაზეთ „შიდა ქართლის“ რედაქტორად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დანიშნოს ვასილ ალექსანდრეს ძე **საბანაძე** გაზეთ „შიდა ქართლის“ რედაქტორად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 12 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

796 ო. ს. არობელიძის გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ოთარ სევერიანის ძე **არობელიძე** გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 12 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

გ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

797 დმანისის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლის ა. ი. ტატუაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

დმანისის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებელი ალექსი იოსების ძე **ტატუაშვილი** გათავისუფლდეს თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 13 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

გ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

798 ო. ა. ასლანიშვილის დმანისის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ოთარ არსენის ძე **ასლანიშვილი** დმანისის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 13 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

799 საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის წესდება (ერთვის დედანს).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 15 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

800 საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნონ:

ახმეტის რაიონის სასამართლოს მოსამართლედ — ნიკოლოზ ხუმარის ძე **თურმანაული.**

გარდაბნის რაიონის სასამართლოს მოსამართლეებად — გია არჩილის ძე **ებრალიძე,** რევაზ თენგიზის ძე **სისაური,** ბესარიონ ოთარის ძე **წურწუმია,** ქეთინო სოსოს ასული **ლუაშვილი.**

გორის სასამართლოს მოსამართლედ — ოთარ დიმიტრის ძე **ჭაღიაშვილი.**

თელავის რაიონის სასამართლოს მოსამართლეებად — ლეილა ვახტანგის ასული **გარსევანიშვილი,** ვაჟა შოთას ძე **ყაჯრიშვილი.**

ნინოწმინდის რაიონის სასამართლოს მოსამართლედ — არარატ გარნიკის ძე **ჩობანიანი.**

ლაგოდეხის რაიონის სასამართლოს მოსამართლედ — ნელი ჭიჭიკოს ასული **ჩაფიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 15 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

გ რ ძ ა ნ ე ბ ა

801 საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ

1. გარდაიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის სახელმწიფო კომიტეტად.

2. დაინიშნოს აკაკი გრიგოლის ძე **რეხვიაშვილი** საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 16 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

გ რ ძ ა ნ ე ბ ა

802 საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის შესახებ

1. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი და მის ბაზაზე შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტი.

2. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტი დაექვემდებაროს უშუალოდ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 16 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა - ბ ე ბ ი

803 თ. ვ. ნინუას საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დანიშნოს თამაზ ვახტანგის ძე **ნინუა** საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 16 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა - ბ ე ბ ი

804 საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრ კავშირის სასაზღვრო ჯარების და სამხედრო-საზღვაო ფლოტის კუთვნილი იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკის, სამხედრო ბაზების და სხვა სამხედრო ქონების შესახებ

გათვალისწინებით იმისა, რომ საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების დაცვა, მისი ტერიტორიის მთლიანობის შენარჩუნება, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, ნებისმიერი აგრესიის მოგერება, საზღვრების დაცვა და სამოქალაქო მშვიდობის დამყარება მოითხოვს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შექმნას და რომ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის და სასაზღვრო ჯარების შექმნა-ფორმირება მნიშვნელოვანწილად მოხდა საქართველოს რესპუბლიკის მშრომელთა ხარჯზე,

ვადგენ:

1. გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის და სასაზღვრო ჯარების კუთვნილი იარაღი, საბრძოლო მასალა, მიმოსვლის საშუალებანი, სამხედრო ტექნიკა, სამხედრო ბაზები და სხვა სამხედრო ქონება.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაიწყოს მოლაპარაკება სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის შესაბამის ორგანოებთან ამ დადგენილების პირველ პუნქტში აღნიშნული ქონების საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოსაცემად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 16 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

805 ბ. პ. თავზარაშვილის ხარაგაულის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს გივი პავლეს ძე **თავზარაშვილი** ხარაგაულის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 18 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

806 ხარაგაულის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლის თ. ე. ყურაბას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

ხარაგაულის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებელი თემურ ერასტის ძე **ყურაბა** გათავისუფლდეს თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 18 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

807 ვ. ა. რაზმაძის საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ვახტანგ აპოლონის ძე **რაზმაძე** საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 19 ნოემბერი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ებ ა

308 ვ. ბ. აბაკელიას საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად დანიშვნის შესახებ

დანიშნოს ვაჟა ბორისის ძე **აბაკელია** საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 21 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ებ ა

309 საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის განმტკიცებისა და მისი ეკონომიკის დაცვის მიზნით:

1. დადგინდეს, რომ ყველა საქმეებზე, რომლებიც სუვერენული რესპუბლიკების (სახელმწიფოების) მოსარჩელეების მოთხოვნით განიხილება საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოებში, სახელმწიფო ბაჟი გადახდილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, რისთვისაც საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მიერ გამოიყოს სპეციალური ანგარიში.

2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საარბიტრაჟო სასამართლომ გააცნოს ეს ბრძანებულება სუვერენული რესპუბლიკების (სახელმწიფოების) შესაბამის საარბიტრაჟო ორგანოებს.

3. ბრძანებულება ძალაში შედის 1991 წლის 1 დეკემბრიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 22 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

გ რ ძ ა ნ ებ ა

810 საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში პროფესიული კავშირების უფლებების უზრუნველყოფის შესახებ

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების გამოხატვისა და დაცვის საქმეში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ პროფესიული კავშირები.

ყოფილმა საბჭოურ მოდელზე აგებულმა პროფესიულმა კავშირებმა არსებობის მანძილზე დამტკიცეს სიცოცხლისუნარობა თავისი უმოქმედობით და მმართველი პარტიის უსიტყვო მორჩილებით, მშრომელთა ინტერესების იგნორირებით.

რესპუბლიკაში მიმდინარე საბჭოური სტრუქტურების მსხვრევას მხარი აუბა საქართველოს პროფკავშირების 1991 წლის 24 აგვისტოს ყრილობამ, რომლის მიერ შექმნილი საქართველოს თავისუფალი პროფკავშირების რესპუბლიკური ცენტრი დგას ეროვნულ პოზიციებზე.

აღნიშნული პროცესების განვითარებას ხელს უშლიან პროფესიულ კავშირებში დრომოჭმულ საბჭოურ დარგობრივ სტრუქტურას ამოფარებული დესტრუქციული ძალები და მათ მიერ შექმნილი არასტაბილური ვითარება.

პროფესიული კავშირების უფლებათა უზრუნველყოფისა და მათი საქმიანობისათვის პირობების შექმნის მიზნით **ვადგენ:**

1. **საქართველოს პროფესიული კავშირების** ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს თავისუფალი პროფკავშირების რესპუბლიკური ცენტრი ცნობილ იქნეს მშრომელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის ერთადერთ გარანტად და გამოცხადდეს ყოფილი დარგობრივი კომიტეტების ქონების მემკვიდრედ.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, თბილისის მერმა, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პრეფექტებმა, სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, გაერთიანებების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, მიუხედავად საკუთრების ფორმის და უწყებრივი კუთვნილებისა:

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პროფკავშირების უფლებათა მკაცრ დაცვას და მათი საქმიანობისათვის ყოველმხრივ ხელის შეწყობას რესპუბლიკის კანონმდებლობისა და საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმების შესაბამისად.

სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე ახალი ნორმატიული აქტების მიღებამდე შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან ჩაატარონ წინასწარი კონსულტაციები უფრო დასაბუთებული და მშრომელებისათვის მისაღები გადაწყვეტილებების შემუშავების მიზნით.

1992 წლის სახელმწიფო ბიჯეტის პროექტის მომზადებისას პროფესიული კავშირების მონაწილეობით რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოცია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური უზრუნველყოფის სამინისტროსთან შეთანხმებით განიხილონ პროფკავშირების კუთვნილი გამაჯანსაღებელი ბანაკების, ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების, სანატარიულ-საკურორტო, ტურისტული დაწესებულებების ნაწილის სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსების საკითხი.

1991 წლის ნოემბერ-დეკემბერში საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში ჩატარდეს მოლაპარაკებები 1992 წლის კოლექტიური ხელშეკრულებების (შეთანხმებების) დასადებად ან შეტანილ იქნეს ცვლილებები მოქმედ კოლექტიურ ხელშეკრულებებში. გათვალისწინებულ იქნეს ღონისძიებები სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების რეალიზაციის, მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფის, საბინაო ფონდის პრივატიზებისას მშრომელთა ინტერესების დაცვის, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების, შრომითი კონფლიქტების თავიდან აცილების, მოქალაქეთა ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დაზღვევის, საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისა და სხვა სოციალური საკითხების გადასაწყვეტად.

რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა საქართველოს თავისუფალი პროფკავშირების რესპუბლიკური ცენტრის მონაწილეობით, დადგენილი წესის მიხედვით, ამ წლის ბოლომდე მოამზადოს და საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს განსახილველად წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის პროექტი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა საქართველოს რესპუბლიკის თავისუფალი პროფკავშირების რესპუბლიკურ ცენტრთან ერთად შეიმუშაოს წინადადებები მშრომელებისა და მათი ოჯახის წევრების სამკურნალო და დასასვენებელი საგზურების შესაძენი თანხების ხარჯების გზრდისათვის.

რეკომენდაცია მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს დაჩქაროს „პროფკავშირული საქმიანობის შესახებ“ კანონის პროექტის განხილვა და მიღება.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 22 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

811 ზ. პ. კოპალიანის საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ზურაბ პეტრეს ძე **კოპალიანი** საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 22 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

812 ე. ე. ნიჟარაძის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ენვერ ეფრემის ძე **ნიჟარაძე** საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 22 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

813 საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოების მსაჯულთა რწმუნების ვადის გასვლასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუგრძელდეს უფლებამოსილების ვადა საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის), თბილისის საქალაქო სასამართლოების მსაჯულებს 1991 წლის პირველ იანვრამდე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჯულაძე.

თბილისი, 1991 წლის 22 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

გ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

814 ი. ო. ანდრიაძის ძ. თბილისის მერის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ირაკლი ონისიმეს ძე **ანდრიაძე** ქალაქ თბილისის მერის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 24 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

გ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

815 მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ

მარნეულის რაიონში ბოლო დღეებში ადგილი აქვს საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევის შემთხვევებს, შეფერხებულია სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობა, დარღვეულია საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური რიტმი, გავრცელდა ყაჩაღობის, ძარცვის, ადამიანის გატაცებისა და სხვა მძიმე დანაშაულის ფაქტები, რითაც საფრთხე ექმნება მოქალაქეთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და კანონით დაცულ ინტერესებს.

ამ რეგიონში შექმნილი ვითარების უსწრაფესი ნორმალიზაციის, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 121[1]-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე **ვადგენ:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. შემოღებულ იქნეს საგანგებო წესები მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე 1991 წლის 30 ნოემბრიდან ერთი თვით.

2. მარნეულის რაიონის კომენდანტად დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილე, მილიციის პოლკოვნიკი ალექსანდრე სერგოს ძე მიქაბერიძე.

3. მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული გადაწყვეტილება შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დასამტკიცებლად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 29 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

816 საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის რეორგანიზაციის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 121[1] მუხლის 6[1] პუნქტის საფუძველზე **ვადგენ:**

1. გარდაიქმნას საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტროდ.

2. ამ ბრძანებულების პირველ პუნქტში გათვალისწინებული გადაწყვეტილება წარედგინოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს შესათანხმებლად.

3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წინაშე დაისვას საკითხი საქართველოს რესპუბლიკაში ეროვნული უშიშროების სამსახურის შესახებ კანონის მიღების თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 29 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებები

(25 ნოემბერი)

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ილ ებ ა

817 ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გაუქმების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. გაუქმდეს ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე გამოცხადებული საგანგებო წესები.

2. სსრ კავშირის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა დაუყოვნებლივ გაიყვანონ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან მათდამი დაქვემდებარებული ჯარის ნაწილები

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აპაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ილ ებ ა

818 საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკისა და სხვა ქონების შესახებ

რესპუბლიკაში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების იარაღი, საბრძოლო მასალა, მიმოსვლის საშუალებები, სამხედრო ტექნიკა და სხვა ქონება.

2. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყოს მოლაპარაკება სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დადგენილების პირველ პუნქტში აღნიშნული ქონების საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოსაცემად და ამ ჯარების პირადი შემადგენლობის საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის ტერიტორიიდან გასაყვანად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

819 საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა არმიის, სასაზღვრო ჯარების, სამხედრო-საზღვაო ფლოტის კუთვნილი იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკის, სამხედრო ბაზებისა და სხვა ქონების შესახებ

ითვალისწინებს რა იმას, რომ საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების დაცვა, მისი ტერიტორიის მთლიანობის შენარჩუნება, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, ნებისმიერი აგრესიის მოგერიება, საზღვრების ხელშეუხებლობა და სამოქალაქო მშვიდობის დამყარება მოითხოვს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შექმნას და რომ საბჭოთა არმიის, სასაზღვრო ჯარების და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნა-ფორმირება გარკვეულწილად მოხდა საქართველოს რესპუბლიკის მშრომელთა ხარჯზე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა არმიის, სასაზღვრო ჯარების და სამხედრო-საზღვაო ფლოტის კუთვნილი იარაღი, საბრძოლო მასალა, მიმოსვლის საშუალებანი, სამხედრო ტექნიკა, სამხედრო ბაზები და სხვა სამხედრო ქონება.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაიწყოს მოლაპარაკება სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის შესაბამის ორგანოებთან დადგენილების პირველ პუნქტში აღნიშნული ქონების საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოსაცემად და ამ ჯარების პირადი შემადგენლობის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან გასაყვანად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე პაპაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 25 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

820 ვ. ა. რაზმაძის საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

გათავისუფლდეს ვახტანგ აპოლონის ძე **რაზმაძე** საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

821 ვ. ბ. აბაკელიას საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დანიშნოს ვაჟა ბორისის ძე **აბაკელია** საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 25 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

822 **ვ. ბ. აბაკელიას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

გათავისუფლდეს ვაჟა ბორისის ძე **აბაკელია** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აბაკაი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

823 **ო. ს. გეგბიას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩევის შესახებ**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს.**

არჩეულ იქნეს ორდე სარდიონის ძე **გეგბია** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ და გათავისუფლდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აბაკაი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 25 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

824 ე. ე. ნიშარაძის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**
თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ენვერ ეფრემის ძე ნიჟარაძის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დანიშვნაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

825 საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**
თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის სახელმწიფო კომიტეტად გარდაქმნაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

826 ა. გ. რეხვიაშვილის საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**
თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს აკაკი გრიგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ძე **რეხვიაშვილის** საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

827 საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის გაუქმებისა და მის ბაზაზე საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

828 ზ. პ. კოპალიანის საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

თანხმობა მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ზურაბ პეტრეს ძე **კოპალიანის** საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრად დანიშვნაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 25 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

829 ა. რ. კვეზერელის სადეპუტატო უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

ცნობილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის ალექსი რობერტის ძე კვეზერელის სადეპუტატო უფლებამოსილება, რომელიც არჩეულია 1991 წლის 22 ნოემბერს № 54 კარდენახის საარჩევნო ოლქში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 25 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

830 სტიქიასთან დაკავშირებით და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი ობიექტების მშენებლობისა და სხვა ხარჯების დასაფინანსებლად 1991 წლის საბიუჯეტო ასიგნებათა გადიდების შესახებ

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოთა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტის მშენებლობისა და სხვა ხარჯების გაზრდასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დაკმაყოფილდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თხოვნა საქართველოს რესპუბლიკაში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოთა და სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი ობიექტების მშენებლობისა და სხვა ხარჯების დასაფინანსებლად 1991 წლის საბიუჯეტო ასიგნებათა 400,4 მლნ მანეთით გადიდების შესახებ რესპუბლიკური ბიუჯეტის დეფიციტის შესაბამისი გადიდების ხარჯზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 25 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

831 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის განცხადება

უკანასკნელ ხანებში რუსეთის პარლამენტში, ახლა კი რსფსრ სახალხო დეპუტატთა ყრილობაზეც, სულ უფრო ხშირად გაისმის მუქარა საქართველოს რესპუბლიკის მიმართ. იღებენ ულტიმატიმურ „გადაწყვეტილებებსა“ და „დადგენილებებს“. მიმართავს სსრ კავშირის ცენტრალური ორგანოებისადმი იმ მიზნით, რომ განსაკუთრებული სანქციები გამოიყენონ საქართველოს მიმართ.

სინანულით უნდა აღვნიშნოთ, რომ ბრკვეული წრეები, როგორც რსფსრ უზენაეს საბჭოში, ასევე მის გარეთ, იყენებენ ორ ყოფილი სსრ კავშირის მთავრობის მიერ პროვოცირებულ კონფლიქტს ე. წ. სამხრეთ ოსეთში, ცდილობენ ზემოქმედება მოახდინონ რუსეთის მთავრობასა და პრეზიდენტზე და არსებითად აიძულონ ისინი განაგრძონ ძველი, ტრადიციული იმპერიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ.

რუსეთისა და მსოფლიოს საზოგადოებრიობის მოტყუების მიზნით ხდება უსაფუძვლო თეზისის გაზვიადება საქართველოს რესპუბლიკის აგრესიულობის შესახებ. ამასთან მონდომებით იფარება საქართველოში ეროვნებათშორისი კონფლიქტის მთავარი დამნაშავე — ყოფილი სსრ კავშირის მთავრობა. სრულიად ყალბია რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბ-ნ აბდულატიპოვის ცნობა საქართველოდან ჩრდილოეთ ოსეთში ასი ათასობით ოსი ლტოლვილის თაობაზე. შეგახსენებთ, რომ მოსახლეობის 1989 წლის საკავშირო აღწერის მონაცემებით მთელი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობა შეადგენდა 98.527 კაცს, რომელთაგან ოსი ეროვნებისა იყო 65.238. თუ ქართველ ლტოლვილებსაც ჩავთვლით ამ ოლქიდან, რომელთა რიცხვმაც 20 ათასს მიაღწია, ე. წ. სამხრეთ ოსეთში უკვე არც ერთი მცხოვრები არ უნდა დარჩენილიყო. მაშ ვიღას „იცავს“ იქ საბჭოთა ჯარი? ვის შორის ხდება კონფლიქტი?

ცნობილია, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ოსი მოსახლეობის ნაწილმა, რომელმაც საქართველოს საზღვრების დატოვება ისურვა, მიიღო ემიგრაციის ნებართვა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისაგან კომპენსაციის გადახდით და, მაშასადამე, ეს ხალხი ლტოლვილად ვერ ჩაითვლება. უფრო მეტიც, ბევრი ოსი ოჯახი, რომელიც მიდის ჩრდილოეთ ოსეთში და იღებს იქ ლტოლვილის სტატუსს შესაბამისი ფულადი კომპენსაციით, შემდეგ ბრუნდება საქართველოში, ძველ საცხოვრებელ ადგილზე. მათ ხარჯზე ხომ არ ვაიზარდა ასე უზომოდ ყოფილ „ლტოლვილთა“ რიცხვი?

ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელობა, რომელიც სპეციალურებას ეწევა ხალხის უბედურებით, ცდილობს მიიღოს, რსფსრ უზენაესი საბჭო კი ცდილობს გაამართლოს დამატებითი ფულადი სახსრების გამოყოფა ლტოლვილთა მოზღვავების გამო, თუმცა სინამდვილეში ეს ფული დაიხარჯება ოსი ექსტრემისტებისათვის სამხედრო დახმარებასა და საქართველოში სამხედრო მოქმედებათა ესკალაციაზე, რასაც ჩვენ განვიხილავთ, მხოლოდ და მხოლოდ როგორც რუსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის პარლამენტის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ მიმართული აგრესიისათვის ხელის შეწყობას.

ჩვენ მთელი კატეგორიულობით კვლავ და კვლავ ვაცხადებთ, რომ კონფლიქტი ე. წ. სამხრეთ ოსეთში და მისი შედეგები ქართულ მხარეს კი არ შეუქმნია, არამედ მთლიანად ოსური ნაციონალიზმის გეოპოლიტიკური ინტერესებიდან და სსრ კავშირის ხელმძღვანელობის იმპერიული მისწრაფებებიდან ბომდინარეობს.

რამდენადაც კონფლიქტი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმდინარეობს და მასში უშუალოდ საბჭოთა კავშირის საოკუპაციო ჯარები მონაწილეობენ, რომლებიც ოს ექსტრემისტებთან ერთად მოქმედებენ, აგრესორი მხოლოდ ერთ პირს შეიძლება ეწოდოს — საბჭოთა მთავრობას და საქართველოსთვის, როგორც აგრესიის მსხვერპლისათვის, ან ვისთვისაც გნებავთ, მიყენებული მთელი მატერიალური ზარალის კომპენსაცია, მთლიანად ეკისრება სსრ კავშირის მთავრობას ანდა მას, ვინც თავს მის მემკვიდრედ თვლის.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, მთავრობა მტკიცე პროტესტს გამოთქვამენ რუსეთის უზენაესი საბჭოსა და რუსეთის სახალხო დეპუტატთა ყრილობის პრეტენზიების გამო საქართველოს მიმართ და იმ უსაფუძვლო გადაწყვეტილებათა და დადგენილებათა გამო, რომლებიც მტრულ ძალებს რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის გამწვავების საშუალებას აძლევს.

თავის მხრივ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ეძებს გზებს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელად ე. წ. სამხრეთ ოსეთში კონფლიქტთან დაკავშირებით და ერთ-ერთ გზად მიიჩნევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მიმართოს თხოვნით, რათა საქართველოში გამოგზავნოს საერთაშორისო ექსპერტები.

თბილისი, 1991 წლის 5 ნოემბერი.

832 ყარაჩაელი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაცია „ჯამაგათს“

ძმებო ყარაჩაელებო!

თქვენი ხალხისათვის ამ სამგლოვიარო დღეს სამძიმარსა და გულწრფელ თანაგრძნობას გიცხადებთ. ქართველი ხალხისათვის სრულიადაც არ არის სულ ერთი თქვენი მრავალტანჯული, შრომისმოყვარე და ვაჟკაცი ხალხის ბედი. ჩვენი ისტორია სავსეა ურთიერთგაგების, ძმობის, ჭირსა და ლხინში ერთმანეთის მხარდაჭერის შესანიშნავი მაგალითებით. ჩვენი წინაპრები იმდენად აფასებდნენ და პატივს სცემდნენ ერთმანეთს, რომ შექმნეს ძმადაფიცობის დიდებული და განუმეორებელი ინსტიტუტი როცა ყარაჩაელ ბავშვებს აღსაზრდელად აბარებდნენ თქვენი მეზობლების ოჯახებს — ქართველ მთიელებს ქართული ენისა და კულტურის შესასწავლად, ქართულ ადათ-წესებზე აღსაზრდელად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაგიეროდ კი ქართველი ბავშვები სრულწლოვანობამდე ცხოვრობდნენ ყარაჩაელთა ოჯახებში, იზრდებოდნენ თქვენი ხალხის საუკეთესო ტრადიციების მაგალითზე. უფროს თაობაში ახლაც არიან ქართველები, თავიანთი მშობლების ყონაღთა აღზრდილები და ქართულ ოჯახებში აღზრდილი ყარაჩაელები. ერთმანეთის ენების, ფოლკლორის, ადათ-წესების ცოდნა, ერთმანეთის პატივისცემა დაეხმარა ჩვენ ხალხებს ძნელებდობის ჟამს. ხოლო როცა 1944 წლის 7 ნოემბერს ყარაჩაელები თავს დაატყდათ უბედურება და მათი ოჯახები იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ სამშობლო, წინაპართა კერები, ქართველთა მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. იყო მაგალითები, როცა ქართველებმა ნებაყოფლობით გაიზიარეს თავიანთი ძმადნაფიცების ხვედრი და მათთან ერთად გადასახლებაში აღმოჩნდნენ.

პატივცემულო მეგობრებო! ქართველი ხალხი ესწრაფვის რა სრულ დამოუკიდებლობას, წმინდად ინახავს მათ ხსოვნას, ვინც მსხვერპლად შეეწირა გენოციდის დანაშაულებრივ პოლიტიკას საბჭოთა იმპერია რომ ახორციელებს. თავს ვხრით მათი ხსოვნის წინაშე.

ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ ამაყ და ვაჟკაც ყარაჩაელ ხალხს.

საქართველო თქვენთან არის და მხარს უჭერს თქვენს საუკეთესო მისწრაფებებს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აპაკი ასათიანი.

თბილისი, 1991 წლის 9 ნოემბერი.

§33 გაეროს გენერალურ მდივანს ბატონ ხავიერ პერეს დე კუელიარს, მსოფლიოს ხალხებსა და პარლამენტებს

დაშლის პირამდე მისული იმპერია ამაოდ ცდილობს ყოველი ხერხით შეაჩეროს მამაცი და თავისუფლებისმოყვარე კავკასიელი ხალხების სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ. ამა წლის 27 აპრილს ჩვენ მოგმართეთ თქვენ, რომ მზადდებოდა სისხლიანი პროვოკაციები კავკასიაში. იმპერიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ინტენსიურად ნერგავდნენ აზრს, თითქოს „კავკასიელი ველურები“ და „ტუზუმეცები“ ცენტრის ჩარევის გარეშე ამოჟლეტდნენ ერთმანეთს. ამ „მოტივით“ როგორც საქართველოში, შიდა ქართლში (ყოფილ „სამხრეთ ოსეთში“), ისე ჩეჩნეთ-ინგუშეთში უხეში სამხედრო ძალის გამოყენებით ხდება მშვიდობიანი მოსახლეობის აწიოკება. დღეს ღილით ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში, სადაც უნდა მომხდარიყო საყოველთაო არჩევნების გზით არჩეული ჩეჩნეთის პრეზიდენტის ბატონ ჯოხარ დუდაევის ინაუგურაცია, იმპერიის სამხედრო ძალები თავს დაესხნენ ჩეჩენ პატრიოტებს, მოსალოდნელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლისღვრა, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით შეტაკებები გრძელდება, ხდება ახალი სამხედრო შენაერთების შეყვანა ჩეჩნეთის ტერიტორიაზე. მზადდება იმ თავისუფლებისმოყვარე და ვაჟკაცი ხალხის გენოციდი, რომლის მიმართაც ჯერ ცარისტულმა, ხოლო შემდეგ ბოლშევიკურმა იმპერიამ უკვე ორჯერ (1878 და 1944 წლებში) განახორციელა მასობრივი რეპრესიები, რის შედეგადაც ათიათასობით ჩეჩენი იქნა ფიზიკურად მოსპობილი და იძულებით გასახლებული სამშობლოდან.

მიგვაჩნია, რომ დაუშვებელია პოლიტიკური საკითხების უხეში სამხედრო ძალის გამოყენებით გადაწყვეტა. ნებისმიერი სადავო საკითხი უნდა წყდებოდეს მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით. იმედი გვაქვს, რომ გაერო, მსოფლიოს ხალხები და პარლამენტები გულთან ახლოს მიიტანენ მცირერიცხოვანი ჩეჩენი ხალხის ტრაგედიას და ხმას აღიმაღლებენ სამხედრო აგრესიის წინააღმდეგ. ჩვენი აზრით, უხეშად ითელება როგორც ჩეჩენთა, ისე ქართველთა ეროვნული უფლებები (ვგულისხმობთ ყოფილ „სამხრეთ ოსეთს“). ამიტომ მოვითხოვთ გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის ექსპერტთა და მეთვალყურეთა ჯგუფის სასწრაფოდ ჩამოსვლას, რათა ადგილზე (ქ. გროზნოსა და შიდა ქართლში) შეისწავლონ შექმნილი მძიმე მდგომარეობა და ხელი შეუწყონ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 9 ნოემბერი.

834 რუსეთის პრეზიდენტს

პატივცემულო ბორის ნიკოლოზის ძევ!

ქართველი ხალხი შეშფოთებით ადევნებს თვალს მოვლენების განვითარებას ჩეჩნეთ-ინგუშეთში. აქ საგანგებო წესებისა და კომენდანტის საათის გამოცხადება ჩვენთვის მოულოდნელი იყო, რადგან ყოველთვის გიცნობდით თქვენ, როგორც ხალხთა თავისუფლების ქომაგსა და დემოკრატიის დამცველს, რაც დაადასტურა თქვენმა ძალისხმევამ ბალტიისპირეთის ხალხების დამოუკიდებლობის მოძრაობის მხარდასაჭერად, რეაქციული საგანგებო წესების სახელმწიფო კომიტეტის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ ახლა მოვლენების ესოდენ მკვეთრი შემობრუნება სინანულს იწვევს. საფრთხე შეექმნა თავისუფლებისმოყვარე ჩეჩენ ხალხს. ძალადობის ესკალაციამ ჩეჩნეთ-ინგუშეთში შეიძლება შეაჩეროს თქვენი ავტორიტეტი ყოფილი საბჭოთა იმპერიის ხალხთა თვალში, რომლებიც დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ვითარების შემდგომი გამწვავება კავკასიაში, გთხოვთ გაუქმოთ საგანგებო წესები გროზნოში, პატივი სცეთ ჩეჩენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხის ნების გამოხატვას, რომელიც ესწრაფვის თვითგამორკვევასა და თავისუფლებას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 9 ნოემბერი.

835 ბალყარელი ხალხის საერთო-სახალხო ყრილობას!

პატივცემულო მეგობრებო! ნება მიბოძეთ ქართველი ხალხის, საქართველოს რესპუბლიკის მთელი მოსახლეობისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად მივესალმო თქვენს ყრილობას. კავკასია მრავალფეროვანია. ჩვენთვის ყველასათვის ამ წმიდათაწმიდა მიწაზე, რომელიც ჩვენი წინაპრების სისხლით არის მორწყული, ოდითგანვე ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდა სხვადასხვა ხალხი. კავკასიელმა ხალხებმა კეთილად იცინა თავისუფლების, მშვიდობის, მეზობელი ხალხისადმი პატივისცემის ფასი. უკლებლივ ყველა კავკასიელი ხალხის ურთიერთობას საფუძვლად უდევს ჩვენი წინაპრების უმდიდრესი ბრძნული ადათები, ასეთი ურთიერთობის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ბალყარელებსა და ქართველ მთიელებს შორის ყონაღობის ინსტიტუტი, რაც არაერთხელ აღგვინიშნავს ჩვენი წინაპრების სიბრძნით გამოწვეული სიამაყის გრძნობით. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ და განვავითაროთ ასეთი ტრადიციები. ვალდებულნი ვართ სათუთად შევინახოთ და მომავალ თაობებს გადავცეთ ყოველივე საუკეთესო, რაც საუკუნეების განმავლობაში შეგვიქმნია.

ძმებო ბალყარელებო! ჩვენ, ქართველებს გვიყვარს და პატივს ვცემთ ბალყარელ ხალხს — ტანჯულ ხალხს, რომელმაც თავისი საყვარელი სამშობლოდან გაძევების შემდეგ ჯოჯოხეთური გზა განვლო. ჩვენ ვგმობთ ყოველგვარ ძალადობას მცირერიცხოვანი ხალხების მიმართ, რადგანაც ყოველი ხალხი ღვთის მიერ არის შობილი და არავისა აქვს უფლება სიცოცხლე წაართვას თუნდაც ერთ ადამიანს, მთელ ხალხზე რომ არაფერი ვთქვათ. იმედი გვაქვს, რომ გენოციდის პოლიტიკა არსად და არასდროს არ იქნება გამოყენებული.

ძმებო! იმპერია ინგრევა და ეს შეუქცევადი ისტორიული პროცესია, მაგრამ იმპერიული სული ჯერ კიდევ ცოცხლობს. ეს საშინელი სულისკვეთება ხანდახან შემზარავი სახით იჩენს ხოლმე თავს. იმპერიული აზროვნების გამოვლინება იყო ახლახანს ჩვენთში მოხდარი ამბები, სადაც ეცადნენ უხეში სამხედრო ძალით ჩაეხშოთ ჩვენი ხალხის მისწრაფება თავისუფლებისაკენ. მთელი საქართველო აღშფოთდა, რადგანაც მიხვდა, რომ თუ დღეს მოძმე ჩეჩენი ხალხის წინააღმდეგ გამოიყენეს ძალა, ხვალ მთელ კავკასიას გაუსწორდებიან. სამხედრობის გაგებით კი, რასაც ნიშნავს „სამართლიანობა“, ქართველმა ხალხმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შშვენივრად იცის, იმიტომ რომ ამგვარი „სამართლიანობა“ არაერთხელ გამოუცდია საკუთარ თავზე. აქედან გამომდინარე ჩვენ ოფიციალურად მივმართეთ გაეროს, მსოფლიოს ხალხებსა და პარლამენტებს მოწოდებით — დაგმინ სამხედრო აგრესია ჩეჩნეთში და გამოგზავნონ ექსპერტები სადავო საკითხების შესწავლობანი, პოლიტიკური გადაჭრის მიზნით.

სოლიდარობას, ერთმანეთის მხარდაჭერას შეუძლია კავკასიის ყველა ხალხი გადაარჩინოს. ერთად ჩვენ უძლიველნი ვართ. ჩვენმა ხალხებმა თავი უნდა დაიცვან სხვადასხვა პროვოკაციებისაგან, რომლებიც შეღლისა და სისხლიანი კონფლიქტების გაღვივებისაკენ არის მიმართული. სწორედ ამგვარი პროვოკაცია „კავკასის მთიელი ხალხების კონფედერაციული კავშირის“ შექმნა. სამართლებრივი და კონსტიტუციური ნორმების იგნორირებით, უხეშად ერევა რა საქართველოს რესპუბლიკის შინაურ საქმეებში და ცდილობს მოსწყვიტოს საქართველოს მისი კუთვნილი ისტორიული ტერიტორიები, იმპერია ცდილობს ზოგერთი ჩვენი არაშორსმჭვრეტელი თანამოძმის ხელით კონფლიქტის ახალი კერა შექმნას კავკასიაში. ამ გზით უნდათ ჩრდილოკავკასიელი ხალხების ყურადღება ჩამოაცილონ მწვავე, პრივლხარისხოვან პრობლემებს, რომლებიც მათ წინაშე დგას. ჩვენ მადლიერნი ვართ ბალყარელების, ყარაჩაელების, ინგუშების, ნოღაელების, ლეზგების და მრავალი სხვა ჩრდილოკავკასიელი ხალხისა, რომლებმაც მონაწილეობა არ მიიღეს იმპერიის მიერ ამ ცუდად დადგმულ სპექტაკლში. კავკასიელი ხალხების კონფედერაციული კავშირის იდეა აქტუალურია, მაგრამ იგი არ უნდა განხორციელდეს არასამართლებრივი, ანტიკონსტიტუციური, პროვოკაციული გზით. კონფედერაციული კავშირი ეტაპობრივად უნდა იქმნებოდეს, მთელი სერიოზულობით უნდა მზადდებოდეს. ამასთან აუცილებელია ყველა ხალხის, მისი კანონიერი ინტერესების პატივისცემა სამართლებრივი და კონსტიტუციური ნორმების დაცვა.

ძვირფასო მეგობრებო! მივესალმები ბალყარელი ხალხის ყრილობას, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს თქვენს წინაშე მდგომი აქტუალური საკითხები. გეცერვებთ წარმატებით მუშაობას. დარწმუნებულები ბრძანდებოდეთ, რომ მთელი საქართველო თქვენთან არის და მხარს უჭერს ბალყარელი ხალხის კანონიერ მისწრაფებას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 15 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომები

25 ნოემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი აკაკი ასათიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია, პრემიერ-მინისტრი ბატონი ბესარიონ გუგუშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წევრები.

შიდა ქართლში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ განცხადება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ. კერძოდ, მან შემოიტანა წინადადება შიდა ქართლში საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შესახებ.

სიტყვით გამოსულმა დეპუტატებმა, მათ შორის, ოპოზიციური ფრაქციის წარმომადგენლებმა, გამოხატეს შეშფოთება შიდა ქართლში საბჭოთა არმიის ნაწილების არასამართლებრივი, დანაშაულებრივი მოქმედების გამო. წინადადება შიდა ქართლში საგანგებო მდგომარეობის გაუქმებისა და საბჭოთა ჯარის ნაწილების ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს.

სხდომის დღის წესრიგის პირველ პუნქტად განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების შესახებ. პროექტის განხილვისას შინაგან საქმეთა მინისტრმა დიღარ ხაბულიანმა სხდომას გააცნო თბილისის ზღვაზე დისლოცირებული გვარდიის ერთი ნაწილის მიმართვა პრეზიდენტის, უზენაესი საბჭოსა და ქართველი ერისადმი. მიმართვაში აღნიშნულია, რომ შეწყვეტენ ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობას და მზად არიან ემსახურონ სამშობლოს.

ვიდრე სხდომა ამ საკითხებზე დადგენილებას მიიღებდა, გადაწყდა, ვაგზავნათ დეპუტატთა ჯგუფი თბილისის ზღვაზე იქ განლაგებული შეიარაღებული დაჯგუფებების ლიდერებთან მოლაპარაკების მიზნით.

სესიაზე განიხილეს საკითხები საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკისა და სხვა ქონების შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული საბჭოთა არმიის, სასაზღვრო ჯარების, სამხედრო-საზღვაო ფლოტის კუთვნილი იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკის, სამხედრო ბაზებისა და სხვა ქონების თაობაზე, აგრეთვე საორგანიზაციო საკითხები.

ყველა განხილულ საკითხზე მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

*

* *

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მეორე სესიის მორიგი სხდომა, რომელმაც მუშაობა განაახლა 29 ნოემბერს ნაშუადღევს, ჯერ კიდევ დღის წესრიგის საკითხების განხილვამდე გადაიდო.

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ აკაკი ასათიანმა განცხადებისათვის სიტყვა მისცა დეპუტატ თამაზ ობგაძეს, რომელმაც მერაბ კოსტავას საზოგადოების სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელით სხდომას აცნობა, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაკავებულია ამ საზოგადოების სამი წევრი დიდი რაოდენობით ტყვიაწამლის უკანონოდ ფლობის ბრალდებით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, რომელიც ესწრებოდა სხდომას, განმარტა, რომ რესპუბლიკაში დაიწყო და გრძელდება უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა სახელმწიფო სტრუქტურებში გაერთიანების პროცესი. კერძოდ, პრეზიდენტმა დეპუტატებს აცნობა, რომ სპეცდანიშნულების ბატალიონმა „თეთრი არწივი" და ქუთაისის ბატალიონმა, რომლებიც უკანასკნელ დრომდე დაბანაკებულნი იყვნენ თბილისის ზღვის რაიონში, ერთგულება გამოუცხადეს პრეზიდენტს, ისინი განლაგდებიან ოფიციალური ხელისუფლების მიერ მითითებულ დისლოკაციის ადგილზე.

როგორც გამორკვა, ეს ახალგაზრდები დეზინფორმირებულნი იყვნენ თავიანთი წინანდელი სარდლობის მიერ მოსკოვში მომხდარი აგვისტოს პუტჩის დროს გვარდიის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების მოტივებისა და მიზნების თაობაზე. სრული სიმართლე ყოველივე ამის შესახებ მათ შეიტყვეს თვით პრეზიდენტისაგან, რომელიც მათ შეხვდა და ესაუბრა გორში.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიათა არსებული ყველა უკანონო შეიარაღებული დაჯგუფება უნდა გაერთიანდეს ოფიციალურ სტრუქტურებში — იქნება ეს ეროვნული გვარდია თუ მუნიციპალური მილიცია — დაემორჩილოს კანონიერ ხელისუფლებას და ემსახუროს საქართველოს ინტერესებს. ბატონმა პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ სხდომაზე უნდა გადაწყდეს ზღვაზე დაბანაკებული შეიარაღებული შენაერთის დარჩენილი ნაწილის საკითხიც, კერძოდ, მას უნდა მიენიჭოს სპეცდანიშნულების ბატალიონის სტატუსი, და იგი, როგორც ყველა სხვა სამხედრო შენაერთი, უნდა დაექვემდებაროს კანონიერ ხელისუფლებას. მხოლოდ ამ გზით გადაიჭრება არსებული პრობლემა.

ბატონმა პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ოფიციალურ სტრუქტურებში უნდა გაერთიანდეს აგრეთვე მერაბ კოსტავას საზოგადოების შეიარაღებული ჯგუფიც.

პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრებმა, დეპუტატებმა გ. ხავთასმა და ვ. ადამიამ განაცხადეს, რომ მერაბ კოსტავას საზოგადოებას შეიარაღებული ჯგუფი არ ჰყავს. მათი გამოსვლის არაკორექტულმა ტონმა არეულობა შეიტანა სხდომის მუშაობაში. სხვადასხვა ფრაქციის დეპუტატთაგან გამოითქვა პრეტენზიები როგორც ერთმანეთის მიმართ, ასევე სესიის მუშაობის მიმდინარეობის თაობაზე. სხდომის გაგრძელება შეუძლებელი გახდა. გამოცხადდა შესვენება.

შესვენების დროს გამართულ პრეზიდიუმის სხდომაში მონაწილეობა ვერ მიიღო ბატონმა აკაკი ასათიანმა, რომელიც ნერვიულობის ნიადაგზე შეუძლოდ გახდა და მოთავსებულ იქნა საავადმყოფოში.

შესვენების შემდეგ ბატონმა ნემო ბურჭულაძემ გააკეთა განცხადება, მან აღნიშნა, რომ სესია მომზადებული იყო ბ-ნი აკაკი ასათიანის მიერ, ამიტომ აუცილებელია სხდომა გადატანულ იქნეს 3 დეკემბრისათვის.

სესიამ მიიღო ბატონ ნ. ბურჭულაძის წინადადება.